საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

№ 1597/03 "30" 07 2013

შემოსავლების სამსახურის საბაჟო
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ვლადიმერ ხუნდაძეს

ბატონო ვლადიმერ,

„ინტლექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად გიგზავნით შპს „შერის" სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე „CHERIE" (რეგ. N 23867) და ფიზიკური პირის შორენა რაზმაძის სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე „Kenwood" (რეგ. N 23866) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე საქპატენტის თავმჯდომარის 2013 წლის 29 ივლისის ბრძანებების დამოწმებულ ასლებს თანდართული დოკუმენტაციით.

დანართი: 10 ფურცელი

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე ეკატერინე ეგუტია

შემოსავლების სამსახური
116920/01
05 08 2013 წ.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "29" 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1087/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 21 ივნისის N 72804/03 განაცხადით შპს „შერის" (მის: დიდი ლილო, ნაკვეთი 726 (ალ. ქართველიშვილის ქ.) ქ. თბილისი, საქართველო) დირექტორმა ირაკლი ლომთათიძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „CHERIE" (რეგ. N 23867) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „CHERIE" (რეგ. N 23867) საქართველოში რეგისტრირებულია 29.07.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 29.07.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N131 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „CHERIE" (რეგ. N 23867) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 331, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 29.07.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **23867**

მფლობელი: **შპს „შერი“**

მისამართი: **დიდი ლილო, ნაკვეთი 726 (ალ. ქართველიშვილის ქ.), 0105 , თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

30 - ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული.